



ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାମ୍ବଦ୍ଧି

№ 00001

იანვარი 2013

ଓଡ଼ିଆ ଶବ୍ଦାଳୟ



ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრატურულ ფორმა „ებლიფფოს“ ერთჯერადი გამოცემა

ვრცელდება ლიტერატურის მოყვარულთა შორის

ინტერაქტურული მესამე ცოდნები

ანუ, ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრიული კურსი

2009 წლის 7 ოქტომბერი. ოთხშაბათი. საღამოს 7 საათი - საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განახლებულმა მესამე კორპუსმა საპრეზენტაციოდ უამრავი სტუმარი მოიწვია.

თარიღებიც და საათიც
განვებ დავაზუსტე - ყველა-
ფერი სიმბოლურია და, ესე
იგი, შინაარსიანი. სხვაგვ-
არად შეუძლებელიცაა,
რადგან საქმე ლიტერატუ-
რას ეხება. ლიტერატურას
კი, სიზუსტე ისევე უყვარს,
როგორც საიდუმლო.

ეროვნული ბიბლიოთ-
ეკის მესამე კორპუსის გახ-
სნას (რემონტის გამო
დროებით არ ფუნქციონი-
რებდა), ბევრი ელოდა, ბიბ-
ლიოთეკის ერთგულ მკითხ-
ველებთან ერთად, ელოდნენ

ნინო საელობერაშვილი



ისინიც, ვინც არანაკლებ
ერთგულად მონაწილეობდა
ამ შენობაში მიმდინარე
ლიტერატურულ ღონის-
ძიებებში, ვისაც კარგად
ახსოვს ცნობილი „ოთხშა-
ბათობები“ და საინტერესო
შეხვედრები თანამედროვე
ავტორებთან. ვისაც კარ-
გად ახსოვს სწორედ ერო-
ვნული ბიბლიოთეკაის ლიტ.
ფორუმი “ებლიტფო”, რო-
მელიც ასევე მრავალი
იდეის თუ პროექტის
ინიციატორი და სულის-
ჩამოგმელი გახდა.

მოკლედ, “ლიტერატუ-
რული მესამე კორპუსი”
სიმბოლოების სრული დაც-
ვით გაიხსნა და ახალ პრო-
ექტებსაც გზა მიეცა. თუმ-
ცა, აღმოჩნდა, რომ ამ
პროექტების ავტორები

გავრძელება მე-2 გეგმვის ჩე

"Zugvogelgamma" zeigt bald gewaltige

～ ցցուցակ ճադապնական բայցնաբազան ～

დოკუმენტ „აღ-ურმ. „ვებსიტუაციან“ ხელის გადაწყვეტილი იღება უფრო მაღალი
და ყველა ასახული მიმღებული მონაცემის მიღებაში აღინიშნება და ის განხორციელდება.



ନିର୍ମାଣକୁ, ଯୁଗମାତ୍ରରେ : ମହାଦେଶ ପ୍ରକଟନମ ବେଳେତୁ ଏ ପ୍ରକାଶ,
ବେଳେତୁ ମନୋଧୂରୀ କରନ୍ତିର, ପ୍ରକାଶକ ପ୍ରକାଶକ ମନୋଧୂ,
ପ୍ରକାଶକ ଏ ପ୍ରକାଶକ, ପ୍ରକାଶକ ପ୍ରକାଶକଙ୍କରଙ୍କ,
ମନୋଧୂରୀ ପାଇଲୁଛି, ପାଇଲୁଛି ପ୍ରକାଶକଙ୍କରଙ୍କ,
ମନୋଧୂରୀ ପାଇଲୁଛି ପାଇଲୁଛି ପ୍ରକାଶକଙ୍କରଙ୍କ!

მაია ჯალიაშვილის
ინგა მილორავას
დავით შემოქმედელის
კობა ჭუმბურის
რაულ ჩილაჩავას
გიორგი ბუნდოვანის
გივი ალხაზისვილის
ირმა გოლუბიანის
მზია თვალაბეიშვილის
გვანცა ჯობავას
ნინიკო მშვიდობაძის
ვაჟა ხორნაულის
სოლონიაშვილის

ცირა ბარბაქაძის
ლექსებს

ირმა ტაველიძის
ნინო გუგეშაშვილის
გია არგანაშვილის
თამაზ ექვთიმიშვილის
პროზას

ნატო დავითაშვილის
ნაწყვეტს ახალი რომანიდან

ალექსანდრე ელერდაშვილის
მოსაზღვრება “facebook” ფ.

ლევან რამიშვილის
ესეს

ალექო ჩაჩანიძის
წერილი საყვარელ მწერალს

ალექსანდრე ელერდაშვილის
ნათია ორმოცაძის

თარგმანს

თამრი ფხაკაძის
გივი ჩილვინაძის

საბავშვო ნაწარმოებების



ნინო სადლობელაშვილი

არც მანამდე იყვნენ გულხელდაკრეფილნი, არამედ პირიქით - მკითხველებს, ლიეტრატურის მოყვარულებს საინტერესო კრებულები დაახვედრეს და ახალი

ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის ყოველი ახალი კრებული ისეთივე სიხარულია, როგორც ნებისმიერი ავტორისთვის საკუთარი წიგნის გამოცემა. ცოტა ხნის წინ, მის მიერ დამუშავებულ პროექტებს ორი ახალი კრებული შეემატა - "საუბრებილიტერატურაზე" და "მონოლოგები.. პირისპირ".

პირველ კრებულში 14 ავტორის სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტ. წერილია თავმოყრილი, ეს წერილები პერიოდულად

ბრება, არამედ მწერალი - მწერალს. ინტერვიუ პირობითია, რადგან საუბარი ხანდახან სულაც არ გულისხმობს კონტრა-

ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ცხოვრებაში, ის ბიბლიოთეკის თანამშრომელია და, წიგნის პრეზენტაციაზე, მისივე კო-

პირველ ასეთ საღამოზე, განახლებულ მესამე კორპუსში, ახალგაზრდა პოეტის ქეთი გზირიშვილის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნს "სვლა" ჰქვია და ის ქეთის პირველი პოეტური კრებულია. თუმცა, ამ ავტორს კარგად იცნობს "ებლიტფოს" ყველა მკითხველი, რადგან, დღიდან ამ საიტის დაარსებისა, ქეთი აქტიურად მონაწილეობს ეროვნული ბიბ-

ლიოთეკის ლიტერატურულ ცხოვრებაში, ის ბიბლიოთეკის თანამშრომელია და, წიგნის პრეზენტაციაზე, მისივე კო-

ლიტერატურული პროცესები აქტიურად ცოცხლდება სწორედ იქ, სადაც, ყოველი ამქვეყნად დაწერილი სიტყვა - ნაღდი, ძვირფასი, საბოლოოდ დაიღებს ბინას.

რგუმენტებს, მით უფრო მაშინ, თუ ერთმანეთს ორი საერთო მსოფლხედვის, სულისკვეთების მქონე ავტორი ესაუბრება.. ამ კრებულების გაცნობა მკითხველის თვის ერთი სიამოვნებაა და, ეროვნული ბიბლიოთეკის სტუმ-

ლებისთვის აღმოჩენად იქცა მისი პოეზია. ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, მაია სიმონიშვილმა ქეთის პოეზიას ასე უწოდა: "პოეზია ნოტებად".

დასრულდა ორი პროექტი: "ჩემი მოთხოვობა",

სების მთავარი მიზანი, როგორც ვთქვით, რაც შეიძლება მეტი ავტორის ნარმოჩენა და მათი ხელშეწყობაა. ეს საქმეც არანაკლებ კეთილშობილია, ვიდრე თავად შემოქმედებითი პროცესი

ეს ყველაფერი კი - ბიბლიოთეკის წიაღში, ანუ, ყოველგვარი პათეტიკის, მაღალფარდოვნების გარეშე, და იმ ფარული ეჭვის გარეშეც, რომ თანდათან ბიბლიოთეკებიც კარგავენ ფუნქციას საზოგადოებაში - ლიტერატურული პროცესები აქტიურად ცოცხლდება სწორედ იქ, სადაც, ყოველი ამქვეყნად დაწერილი სიტყვა - ნაღდი, ძვირფასი, საბოლოოდ დაიღებს ბინას.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის ყოველი ახალი კრებული ისეთივე სიხარულია, როგორც ნებისმიერი ავტორისთვის საკუთარი წიგნის გამოცემა.

იდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ საიტზეც. წერილები უანრობრივადაც მრავალფეროვანია - ეს სე, კრიტიკა, რაც ძალიან კარგი და საშური საქმეა და ვანდელ ლიტერატურულ პროცესში. მეორე კრებული კი "ორგანზომილებიანია". ერთი - მონოლოგების ციკლი, 24 ავტორის სხვადასხვა თემაზე დაწერილ მონოლოგებს შეიცავს. მეორე კი - "პირისპირ". ეს ინტერვიუს ერთგვარი ნაირსახეობაა, ოღონდ ერთმანეთს არა უურნალისტი და მწერალი ესაუ-

რებს ეს სიამოვნება წინ აქვთ. "ოთხშაბათობებზე" არაერთი ახალბედა ავტორი გაიცნო საზოგადოებამ. მათი მიზანიც სწორედ ეს იყო - თანამდეროვე ავტორთა მაქსიმალურად ხელშეწყობა. გასახარია, რომ საღამოები ისევ განახლდა. მართალია, მაინც დაინც ოთხშაბათობით აღარ, მაგრამ, ადამიანები ხომ იმითაც მდიდრები ვართ, რომ კვირაში შვიდი დღე გვაქვს, და რომელსაც გვსურს, იმას მივუძღვნით საყვარელ საქმეს.

სადაც 60-ზე მეტი ავტორის თითო მოთხოვობა შევიდა, და "ჩემი ლექსი" - აქ 90-ზე მეტი ავტორის მიერ მოწოდებული 5-5 ლექსია თავმოყრილი. ეს კრებულები უნიკუმურ გამოცემებად ითვლება, რადგან მხოლოდ თითო ეგზემპლარია, ისინი ბიბლიოთეკის ფონდების, კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილებაშია აკინძული და ზუსტად ერთი წლის შემდეგ იშვიათ გამოცემათა განყოფილებას გადაეცემა. მიმდინარეობს მუშაო-

(იბუზდება შემოქლებით)

მაია ჭალიაშვილი

ლაზიერის მონოლოგი

მე ვარ ვეზირი ჭადრაკის მეფისა ამაყი ლაზიერი. დროში დავსეირნობ ლაღად და ნებისად, ყოფის საიდუმლოს ვეზიარე. დაჭკნება ყოველივე და თუ არ მეღირსა სატრფოსთან ალერსი შროშანებს დავკოცნი ველისას და ვნებას ალესილს ვარსკვლავთა კოცონებს შევურევ... ვიქები მადლიერი სიცოცხლის მეფისა, ვეზირი რომლისაც მე ვარ, ლაზიერი.

14. 01. 2011

მირაჟები

ჩვენ ვართ მირაჟები უჟამო სამეფოსი, სარკეში ვირეკლებით რიურაჟის სამოსელით ჩვენ ვართ მირაჟები და ვისაც ვესიზმრებით... მან იცის საიდან საით მიდის გზები... ჩვენ ვართ მირაჟები უანგისფერ უდაბნოსი და დროს ჩაჟამებულს ვერსად გავექცევით...

17. 06.. 2011



მაია ჭალიაშვილი



ირმა ტაველიძე

გინეკოლოგიური კაბინეტის საპროცედურო განყოფილება. ნახევრად გახდილი ქალი და კარისკენ იხედება.

— სად არის? ხუთის წინ უნდა დაბრუნებულიყო. გავიდა ხუთი წუთი? მითხრა, სანამ საბოლოო პასუხს გეტყვი, კიდევ ერთხელ უნდა გაგსინჯოო. რატომ ვაჩუქე ის საათი ევას? საათიანად დაიკარგა და სულ მცირე იმედიც კი არ მაქვს, რომ დაკარგულ დროს ოდესმე დავიბრუნებ. ეს კაცი კიდევ მექითხება, სქესობრივი აქტის დროს მცირეოდენ ტკივილს ან აქტის შემდეგ წვას თუ გრძნობი. რა უნდა ვუპასუხო? არა, ევა ერთადერთი ქალი არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, ვისთან ერთადაც გულისნასვლამდე ვიცინოდი. ჰო, ადრე ბევრს ვიცინოდი. საკმარისი იყო, გამვლელის პალტოზე შერჩენილი იარღიყი

ან რამე ასეთი დამენახა, მაშინვე სიცილი მიტყდებოდა ხოლმე. ამ დილით კი ისე გავპრაზდი მეტროში იმ წყვილზე, ერთმანეთს ხელიდან რომ სტაციებდნენ შოკოლადის ბატონს და რიგრიგობით კბეჩდნენ. მგონი, ინდოელები იყვნენ. გოგოს წარბებს შორის წითელი ლაქა ჰქონდა. ჩემს გვერდით ისხდნენ და მთელს ვაგონში მხოლოდ ისინი ხმაურობდნენ. ხელებზე დავაკვირდი და... ახლა რაღაც ისეთი უნდა ვთქვა...

ვიცი, რომ ბუნებრივად მუქი ფერის კანი აქვთ, მაგრამ ეს ხელები დიდი ხნის დაუბანელ, ჭუჭყით გაშავებულ ხელებს ჰგავდა. გული გამისკდა: ნუთუ ყველაფერთან ერთად რასისტიც ვარ? ან იქნებ ესეც ევას ბრალია, რომელმაც ყველა დადებითი ემოცია თან გაიყოლა და ურჩხულის პირისპირ დამტოვა? მას ჩემი სახე აქვს, ჩემი თვალები, ჩემი პირი და ის ძალიან მოწყენილი ურჩხულია. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა. ან საერთოდ თუ გავიდა დრო. როგორც მითხრეს, „კასაბლანკას“ რიმეიკში იღებენ. არადა, პირველად მე ვუთხარი, რაღაცით ინგრიდ ბერგმანს ჰგავხარ-მეთქი. მაშინ დამწყები მსახიობი იყო და ყველა კომპლიმენტი უხაროდა. ერთ საღამოს თმა ისე დავვარცხნე, როგორც ინგრიდ ბერგმანს აქვს „კასაბლანკაში“ და დედაჩემის საღამოს კაბაც ჩავაცვი. ჰო, კაბა ისეთი არ იყო, სხვანაირი იყო და მერე ისევ მე გავხადე... იტირებს, როცა ჩემი სიკვდილის ამბავს გაიგებს? ჩამოვა დაკრძალვაზე? არა, არ ჩამოვა. ჰოლივუდში

გულს იოლად გადააყოლებს. ერთ დროს აქაც ყველაფერი იყო: გადაღებები, პრემიერები, შეხვედრები, წვეულებები, სიყვარული. დღეს, უბრალოდ, ვკვდები: ჩემს სხეულში ყველაფერი გადაგვარებულია. ყველაფერი დამთავრებულია. რა საჭიროა ამდენი ანალიზი? ამდენი პროცედურა? წავალ და ამ კაცთან აღარასდროს მოვალ.

ქალი ჩაცმას იწყებს.

— სიკვდილს სახლში დაველოდები, სადაც ევას ნაჩუქარი თიხის ქოთანი მაქვს. დრო თიხაში გამიცვალა, გესმით? ეს კიდევ მეკითხება: ჩვეულებრივ დღეებში სისხლიანი გამონადენი ხომ არ გაქვთ? ძუძუებს რომ ისრესთ, სიმაგრეებს ხომ არ გრძნობთ? ოჲ, ევა, ევა... უკვე ძალიან გვინაია, უკვე ვეღარაფერს გამოვასწორებთ. ისე დაჭკნა შენი ნაჩუქარი მცენარე, რომ სახელიც ვერ გავიგე. ქოთნიდან მინა ამოვყარე და ახლა შიგ წერილები დევს — შენი, სხვების. არა, ერთადერთი ნამდვილად არ ყოფილხარ. ახლა მარტო ვარ. ყველა გაიქცა ჩემი შავ-თეთრი ფილმიდან და არ ვიცი, მე სად გავექცე საკუთარ თავს.

პაუზა.

— მორჩა? გადაღებულია?

მომავარი წიგნიზან

ნატო გავითაშვილი

ლილე მონუსხულივით შესცემოდა მენამულ ცაზე ამონვერის უნიათო მცდელობებისგან დაღლილ-დაქანცულ მზეს, რომელიც სულის მოსათქმელად, დამრეც ფერდობს მიყრდნობილი, უკანასკნელ ძალ-ლონეს იკრებდა. თითქოს, მთის იქითა მხრიდან, მნათობს რაღაც ძალიან დიდი, ავი და ამოუცნობი ძალა ექაჩებოდა და ცაში აცურების საშუალებას არ აძლევდა. ამოსვლას ვინ ჩიოდა, მისმა განსხივოსნებულმა სხეულმა თანდათან სიკაშკაშე დაკარგა, გაიცრიცა და უფსკრულისაკენ დაეშვა. ამაოდ ეჭიდებოდნენ მისი აპრეშუმის სხივები ცასა და დედამინას, მთასა და ბარს, ყანებსა და ზვრებს, მდინარის ტალღებსა და ტალღებში ამონვერილ ლაპლაპა ლოდებს. მაღლე თავად ესენი გახდნენ საშველნი — უფსკრულში

ჩასანთქმელად დაგორებულმა მზემ გზად ყველაფერი თან წაიყოლა.

იდგა ლილე და რუფიას ვერ ამჩნევდა. ირგვლივ არც სათიბი ჩანდა, არც ცელი, აქამდე მთელი სხეულით რომ ეყრდნობოდა, ალარც საამო სიოს გრძნობდა, შეჭმუხნულ შუბლზე ოფლის წვეთებს რომ უშრობდა, მოცელილი ბალახის მოტკბო სურნელსაც დაეკარგა ძალა. ლილესთან ერთად თითქოს დროც გაყურსულიყო და ისიც გაქვავებული აკვირდებოდა ამომავალი მნათობის ტანჯვას.

სწორედ ამ დროს შემოაჯდა ლილეს მხარზე რუფია. ყვავმა ერთი-ორჯერ ფრთა ფრთას შემოჰკრა, მაგრამ, ვაჟის ყურადღებარომ ვერ მიიქცია, გაბრაზებულმა ყურმი ჩასძახა:

— ლილე, გონს მოდი!.. —

პასუხი ისევ რომ ვერ მიიღო, ჭაბუკს თავზე დააჯდა და, ერთი გემრიელად ჩაუნისკარტა.

ახლა კი გამოერკვა ლილე, შორეთს მზერა მოსტაცა და გაშტერებული თვალები მოიფშვნიტა, თან ისე ამოიხრა, გული თან ამოაყოლა.

— რუფია, შენა? ვერ შეგამჩნიე... — მოუბოდიშა ყვავს.

— რას შემამჩნევდი, მოუსულივით იდექი.

— ჰო... მზეს ვუყურებ... შეხედე ერთი, როგორ უჭირს ამოსვლა, — ლილემ მთის ფერდობზე დაგორებული მზისკენ გაიშვირა ხელი. — მზეო? რას ამბობ. მზე თავზე გადგას, ზუსტად შუბის ტარზეა, ჩრდილის ნატამალსაც ვერ დაინახავ. რომელ მზეს უყურებ? — იკითხა ლი-



ნატო გავითაშვილი

ლეს პასუხით გაოცებულმა რუფიამ.

ლილემ მაღლა აიხედა, შუადლის მოკაშვაშე მნათობმა თვალები მოსჭრა. ყოველ შემთხვევაში, სათიბსაც დაბედა, საკუთარ ჩრდილს კი თვალი მართლაც ვერ მოკრა.



ლევან რამიშვილი

რუსთაველი არ არის ფილოსოფისი, ის ბრძენია, ის არ გვაძლევას ინფორმაციას, ან ცოდნას, ის გადმოგვცემს სიბრძნეს.... შოთა არ გვართობს მშვენიერი პოეზიით, მისთვის პოეზია „სიბრძნის დარგია“... და ვერასოდეს გავიგებთ, ვინ იყო ეს ადამიანი და რა უნდოდა ჩვენგან, სანამ ღრმად არ ჩავრვდებით ამ ფენომენს — სიბრძნეს, ამას კი ვერასოდეს მოვახერხებთ მხოლოდ დასავლურ კულტურისა და ოუდეო-ქრისტიანული რელიგიების ცოდნაზე დაყრდნობით, სადაც არავითარი ცოდნა არ არსებობს ამისი, განსხვავებით აღმოსავლეთისა, სადაც „ბრძენი“ და „სიბრძნე“ ლამაზი სიტყვები კი არ არის, არამედ სრულიად კონკრეტული შენიარსის და მწყობრი ფილოსოფიურ-ეთიკური სისტემის აღმნიშვნელი ცნებები, რომელთა საფუძველიც სულიერი პრაქტიკაა. სწორედ კონკრეტული სულიერი პრაქტიკა და არააბსტრაქტული, კონკრეტული ფსიქო-ფიზიკური მეთოდების ფლობა „აღმოსავლური“ სიბრძნის საფუძველი. სწორედ ეს განასხვავებს ამ სიბრძნეს „ცოდნისაგან“, „განათლებისგან“, „ერუდიციისგან“, „ფილოსოფიისგან“... ფსიქო-ფიზიკური პრაქტიკა, რომელსაც მატერიალური და მიღმიერი სამყაროების არაინტელექტუალური, უშუალო-ჭვრეტითი შეცნობისაკენ მივყავართ — აი, რა არის „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი შინაარსი. ამას განასახიერებს სიმბოლურად ყველაფერი ამ პოემაში — პერსონაჟები, მათი სახელები, მათვის შესხმული ეპითეტები, მათი ურთიერთობა, მათი მოძრაობა, მათ მიერ განვლილი ადგილები და საერთოდ მათი გზა... ამასვე გა-

ნასახიერებს პოემის სიუჟეტი, რომელიც მეორდება... შეიძლება ეს ყველაფერი ვინმეს სიგიჟედ მოერვენოს, მაგრამ ასეთმა ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ ის არ იცნობს უძველეს და შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურას, მის სიმბოლურ ენას და რაც მთავარია, არ იცნობს აღმოსავლურ საკრალურ პოეზიას, არ იცნობს სუფიზმს და თავდავიწყებით, სიგიჟედე შეყვარებულ სუფია პოეტთა სატრფოს — უპიროვნო ჭეშმარიტებას, არ იცნობს პოემის სტრუქტურის აგების სუფიურ ტექნიკას, რომლის მიხედვითაც პოემა აღმასის ქვას უნდა გავდეს, რომელიც ერთია და ამავე დროს მრავალფერი, რომელიც ყოველი შეხედვისას სხვანაირი ჩანს, რომლის ბრწყინვალების, ანუ „აზრის“ მოხელება და ჯიბეში ჩადებაც შეუძლებელია — ის მხოლოდ მაშვენიერებით გინათებს გზას და საგზალს გაძლევს ამ გზაზე — არა მზა „ჭეშმარიტების“ სახით, არამედ „გრძლად ნათქვამი მოკლე სიტყვით“, რომელიც მხოლოდ კოდია, მხოლოდ აღძრავს განსჯისათვის, მხოლოდ მიგანიშნებს... სუფიებმა, ისევე, როგორც ძველმა „ხატაელებმა“, იუდეო-ქრისტიანებისგან განსხვავებით, კარგად იკოდნენ, რომ არ არსებობს აბსტრაქტული ჭეშმარიტება, რომელიც ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციას ერგება, არ არსებობს „ცნებები“, რომლებიც ყველასთვის ერთნაირად სწორია, რადგან არ არსებობს ორი ერთნაირი გზა, ისევე, როგორც ორი ერთნაირი ადამიანი...



ბევრმა არ იცის, რომ საქართველო უდიდეს სუფიურ გავლენას განიცდიდა, რომ რამოდენიმე საუკუნე სპარსული უფრო კარგად ვიცოდით, ვიდრე ქართული, რომ დავით აღმაშენებელმა სუფიური აკადემია დაარსა თბილისში და კვირაში ერთხელ უამრავ დროს უთმობდა მათთან საუბარს, რომ ვეფხისტყაოსანში ნახსენები „ხანაგა“ სუფიების შეკრების ადგილს ქვია და არა „ღატაკათა თავშესაფარს“, როგორც ამას გვასწავლიდნენ, რომ „აბდალი“ სულელს კი არ ნიშნავს, არამედ სუფიური გზის უკანასკნელ საფეხურს, როდესაც სიბრძნე სისულელეს გავს... რომ „მარიფათი“ სუფიური გზის მეოთხე საფეხურია, რომ ნაცარქექია სუფიური იგავის გამარტივებული ვარიანტია... რომ „სიფათი“ სუფიებთან ღმერთის გამოვლენილ ასპექტს, ანუ მის ხილულ „სახეს“ ნიშნავს... საქართველოში არც ისაა ცნობილი, რომ რუსთაველის პოემის სიუჟეტი ძველინდური „რამაიანას“ სიუჟეტს იმეორებს... „რამაიანას“, რომელის ასევე სულიერ გზას, ანუ პრაქტიკას ეძღვნება...

ვეფხისტყაოსანში არ არსებობს არცერთი სტროფი, მასში ფარული, ეზოთერული ცოდნა რომ არ იყოს კოდირებული. უძველეს მსოფლიო ლიტერატურას თავისი სიმბოლური, ალეგორიული ენა აქვს, რომელიც მსოფლიოს უამრავი დიდი პოემისთვის საერთოა. ასეთი სიმბოლური მეტყველება აერთიანებს გილგამეშს, რამაიანას, მაჰაბარატას, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ და სხვა მსოფლიო ნანარმოებებს... შოთაც, იმისათვის, რომ მისი პოემა ბოლომდე ამოუცნობი არ დარჩეს, ამ საყოველთაო სიმბოლიზმის კანონებს იყენებს. ასე გვაძლევს ის თავის პოემაში უმაღლესი ჭეშმარიტების ცოდნას და აღვიწერს მისი მიღწევის პრაქტიკულ გზას.

ისევე, როგორც აღმოსავლეთის წმინდა წიგნებში, რამაიანაში, მაჰაბარატაში და სხვა, ვეფხისტყაოსანშიც სიუჟეტი ადამიანის მიერ მიღმიერ სამყაროსთან დაკავშირების პრაქტიკული გზის სიმბოლური გამოხატვაა. აქ ყველა დეტალს, ყველა პერსონაჟსა თუ მოვლენას სიმბოლური დატვირთვა აქვს. მაგალითად 12 მონა, რომელსაც როსტევანი ტარიელს

მიუგზავნის, თორმეტი თვის, ანუ მატერიალური დროის სიმბოლოა. ტარიელის მიერ მათი დახოცვა მის შინაგან გზაზე გადადგმულ ნაბიჯს — მედიტაციაში მატერიელური სამყაროს მიღმა გასვლას განასახიერებს. „ქვაბი“, რომელშიც ტარიელი ცხოვრობს, მედიტაციის, საკუთარ თავში დანთემის სიმბოლოა, მხეცები, რომლებსაც ტარიელი ხოცავს, ხორციელ ვნებებს, ინსტიქტებს აღნიშნავენ და ა.შ. მთლიანად სიუჟეტი — გმირების მიერ დაკარგული ღვთაებრიობის დაბრუნებას, მიღმიერებასთან შეერთებას ნიშნავს, რადგან დად-



გენილია, რომ ნესტან-დარეჯანი იშიფრება, როგორც „ის, რაც აქ არ არის“ (სპარს.), ანუ ის, რაც მეტერიალურ სამყაროში არ მოიპოვება.

ისევე, როგორც „რამაიანას“ ავტორმა, რუსთაველმაც მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული ხერხების მეშვეობით შესძლო პოემაში ჩაექსოვა სამყაროს ყველაზე საკრალური საიდუმლო. შესძლო პოემის ბუნებად ექცია თვით კოსმოსის ბუნება, მის სტრუქტურად თვით ბუნების შინაგანი აგებულება გაეხადა, ანუ თავის პოემაში გადატანა სამყაროს ყველაზე დაფარული თვისება — მისი ილუზორული და რეალურობა ერთდღოულად. მეტიც — მან შესძლო პოემაში გაემორჩინა რეალურისა და ილუზორულის ურთიერთობა, მათი ურთიერთგანლაგება და თანაფარდობა ზუსტად იმ სახით და იმავე იდუმალებით, როგორც ეს კოსმოსის ბია: მან დახატა და ხოტბა შეასხა საუკეთესო ადამიანურ გრძნობებს — ქალ-ვაჟის ამა-



ლლებულ სიყვარულს, მეგობრობას, უანგარობას, ერთგულებას, რაინდობას, სიუხვეს, სიალალეს... და ამავე დროს დაუტოვა მკითხველს იდუმალების მძაფრი განცდა — შეგრძნება, რომლის მიზეზსაც, როგორც „რეალურ“ სამყაროში, ისე პოემაში იპოვის მხოლოდ ის, ვისი ცნობიერებაც ამისათვის მზად იქნება. მიზეზი კი ისაა, რომ ყოვე-


ლი ადამიანური გრძნობის უკან დგას ერთი გრძნობა, ყოველი სიკეთის უკან — ერთი სიკეთე. ადამიანური სიყვარული, რაოდენ კეთილშობილი და ამაღლებულიც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ მცირე ან-არეკლია ღვთაებრივი სიყვარულისა, მისი დაკნინებული ფორმა. ეს იმიტომ, რომ თვით ადამიანის ცნობიერება, „ერთს“ რომ „უთვალავ

ფერად“ დაყოფილად ხედავს, შეზღუდული, შემოსაზღვრული და ამ-დენად ილუზორულია. ღვთაებრივი ცნობიერებისთვის კი ყველა და ყოველივე ერთია — ერთი და იგივე. ამიტომ მისი სიყვარულიც ერთი და ერთნაირია ყველასა და ყოვლის მიმართ. ეს ის სიყვარულია, რომელიც „არ განარჩევს მტერს და მოყვარეს, წმინდანს და ცოდვილს“ („გიტა“) და „ვარდთა და ნეხვთა სწორად მოეფინების“.

ამ ერთადერთი, ნამდვილი სიყვარულის შუქია, მიწიერი, ადამიანური ცნობიერების პრიზმაში დარდატეხილი, ყველა სხვა სიყვარული — ქალ-ვაჟისა იქნება ეს, დედა-შვილისა თუ ერთგული მეგობრების. ამ ერთადერთი ნამდვილი გრძნობის შეზღუდული გამოხატულებაა ნებისმიერი ადამიანური გრძნობა, ამ ერთადერთი, მარადიული სიკეთის წამიერი გაელვება — ყველა სხვა სიკეთე. მატერიალური სამყაროს ილუზორულობა — ჭეშმარიტება, ჩვენივე სხეულად და ფსიქიკად ჩამოძერნილი, და ჩვენს გრძნობებად და აზრებად გადმოღვრილი — ეს ილუზორულობა, ანუ ადამიანის „საკუთარი თავი“, ეფარება მარადიულ ცოდნას, რის გამოც მოკვდავი ხან მიწიერ გრძნობებსაა აყოლილი, ხან კი მათ უმყარობაში დარწმუნებული, სასონარკვეთილებას ეძლევა და იმას, რაც ერთ დროს ერთადერთ სინამდვილედ ესახებოდა, ან უაზრობად რაცხს, ან „სატანის საცდურად“, რადგან მოკვდავთა უმეტესობამ არ იცის ის, რაც უკვდავმა პოეტმა და ბრძენმა, ნამდვილმა „რიშიმ“* იცოდა — რომ ადამიანის სიყვარული


ღვთაებრივის საპირისპირო კი არაა, არამედ მისი გაგრძელება, არა მისგან ცალკე მყოფი, არამედ მუდ-მივად მისი უკვდავი შუქით საზრდოებული და მისივე ვერმხედველი; არა მისი ანტიპოდი, არამედ მისივე დაფანტული, დაქსაქსული არსია. სწორედ ისე, როგორც თვით მიწიერი სიცოცხლე არაა ზეციურის საპირისპირო, არამედ მისგან მომდინარე და მართალია დასაზღვრული, მაგრამ მაინც მისი „ხატი“. ამ ყველაფრის სიტყვის უთქმელად გადმოცემა შესძლო პოეტმა ორმაგი მხატვრული ქსოვილის მოქსოვით. ქსოვილის, რომელშიც იდუმალი ძაფებითა ერთმანეთს შექსოვილი მიწიერი და ღვთაებრივი, სადაც ადამიანური გრძნობები და ვნებები იმდენად სისხლსავსეა, რომ ეჭვიც არ შეგაქვს მათს სინამდვილეში (ისე, როგორც ცხოვრებაში არ შეგაქვს ადამიანთა გრძნობების სინამდვილეში ეჭვი გარკვეულ დრომდე) და სადაც იმავე დროს და იმავე ადგილას, იმავე ადამიანში განხორციელებულია ღვთაებრივი.

მთელი ჯადოქრობა იმაშია, რომ რუსთველის გმირთა სიყვარული ერთდროულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა მიწიერიც (თუმცა ამაღლებული) და ზეციერიც, მათი მეგობრობაც ერთდროულად ორ სიბრტყეში ხორციელდება — ადამიანურში და ღვთაებრივში, ისე, როგორც თვით პერსონაჟებიც არიან ერთსა და იმავე დროს ადამიანებიც და ღმერთებიც, უფრო ზუსტად — ღმერთი.



შაჰნამე

აღაესანერი ეღარიბაშვილი



აღაესანდრე ეღარიბაშვილი

ირანელთა უპირველესი და უდიდესი პოეტის აბულყასემ ფირდოუსის პოემა „შაჰნამე“ (მეფეთა ნიგნი ან მეფე ნიგნი) თითქმის მისი შექმნის ეპოქიდანვე იყო ცნობილი საქართველოში და პოეზიის ქართველი მოყვარული, ალბათ, ერთ-ერთი პირველი იყვნენ მთელ მსოფლიოში, ვინც დიდი სპარსელი პოეტის გრანადიოზულ პოემას გაეცნენ და თამარის მეფობის ხანიდან მოყოლებილი ამ პოემის არაერ-

თი ეპიზოდი ქართულადც თარგმნეს..... ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. უკვე მე-20 საუკუნეში ქართველი ირანისტები კიდევ ერთხელ შეეჭიდნენ ამ უზარმაზარ (100 ათასი ბერითი) პოემას და დიდებული თარგმანებიც შექმნეს; ეს შრომა სულ ახლახან დაგვირგვინდა ქალბატონი ბელა შალვაშვილის მიერ თარგმნილი მრავალი ამბის ერთ ნიგნად შეკრული ნიგნის სახით, რომელიც ასევე შთამბეჭდავია თავისი


მოცულობით და მასშტაბებით.

ეს თარგმანი კი, რომელიც ალექსანდრე ელერდაშვილს ეკუთვნის და მცირეოდენი სახით იბეჭდება, ეროვნული ბიბლიოთე კის მხარდაჭერით შესრულდა და ადრინდელთაგან იმით განსხვავდება, რომ თარგმნილია 16 მარცვლიანი რუსთველური მაღალი შაირით, რასაც თავისი ელფერი და მომხიბლელობა გააჩნია.

გავრძელება მუქაცხა გვერდზე

গুরু প্রসূতি পুরুষ

გივი
აცხაზიშვილი



g. 12. 2011b.



କୌଣସି ପ୍ରମାଣ କିମ୍ବା ଶମ୍ଭବ କିମ୍ବା

ମେଣ୍ଡ୍ ନୁହ ଲେ, କିମ୍ବା ଏହି
କାଳେ ଏକିମ୍ବା ଲେ, କିମ୍ବା ଏକିମ୍ବା,
ଏହି କାଳେ ଅର୍ଥାତ୍ ଏକିମ୍ବା,
ଯାହା କାଳେ ଏକିମ୍ବା

მეტე უკა გრძელებული,
გრძელებული და უკონდებობი;
გრძელებული ჩას ერთხმან
შესრუ სარჩე შესრუ პირზა.

ପ୍ରମାଣ ଯୁଗ ପରିବର୍ତ୍ତନ, ପରିବର୍ତ୍ତନ କାର୍ଯ୍ୟ,
ବିନ୍ଦୁଜନିକ ଅନ୍ୟଜନ ହରିଲୀ,
ଏଇ ଦିନର ଏଣ ପରିବର୍ତ୍ତନ କାର୍ଯ୍ୟ
ଶୈଖିତକ ପରିବର୍ତ୍ତନ କାର୍ଯ୍ୟରେ ପରିବର୍ତ୍ତନ.

ବ୍ୟାକୁ ଯନ୍ମ ପ୍ରାଣୀଙ୍କ
ବ୍ୟାକୁ ପ୍ରାଣୀଙ୍କ, ପ୍ରାଣୀଙ୍କ - ଚାଲିଛି,
ବ୍ୟାକୁ ପ୍ରାଣୀଙ୍କ, ପ୍ରାଣୀଙ୍କ - ହିତ ହେବ!
ବ୍ୟାକୁ ପ୍ରାଣୀଙ୍କ - ହିତ ହେବ, ପିଲାଙ୍କ
ପ୍ରାଣୀଙ୍କ - ଚାଲିଛି ପିଲାଙ୍କ, ପିଲାଙ୍କ
ଅଳ୍ପ ଫଳ ନାହିଁ ହିତ
କ୍ଷେତ୍ର ନେଇବୁ ଦ୍ୱାରା ଉପରେ,
ପ୍ରାଣୀଙ୍କ ପିଲାଙ୍କ ପାଇଁ କ୍ଷେତ୍ର
ଏ ହିତ ହେବ ପିଲାଙ୍କରେ.

ଶ୍ରୀ ପାତ୍ରମାନ କୁମାର
ଶ୍ରୀ ପାତ୍ରମାନ କୁମାର

2306150 3m³25

ନିର୍ମା
ବିନ୍ଦୁପ୍ରକାଶ



ერანა
ანთიმიაზი



განონი
ბუღესეური




աշխարհոց
գլուխ եմ յանդիմու,

ողոք իւ տես տեսի՞
ըս թշու ողոքի՞ն
ժաման օնցոցչ) ...
" կհանջ" !
ու !

6. և պահած ըստ,
և շիշ յանցի...
կըս լուսութեա...
, Յշուս !

աշխարհ յանդիմու

Ենուան
ըմբռօղթափակ



ଟେଲି
ଟାଇପ୍‌ରିପାର୍

ତାମଣୀ
ଓବାକୁପ୍ର



Եպահ
նախորդ



1. 60 h/s
11-X-2013



ინგა მიცორიავა

ძიება

აღმოსავლეთის ჭრელ ბაზრებში გაფენილ ფიქრებს
დრო ფრთხებს შეაჭრის.....
არწივის თავით დამშვენებულ გემებს მიჰყვება ყინულებისკენ
მზე სიყვარულის....
ჩამქრალ ბუხრებთან ცისფერ შარბათს რომ ველარ დალევს,
იგრძნობს რაინდი...
წყალუხვ მდინარის ჩამონისლულ მუქ ნაპირებთან სავსე ქალები
რეცხავენ სარეცხს...
და ფლანდრიული ფუნჯი ხატავს მბზინავ კულულებს.
შიშიანობას არ იცნობენ ძველი შუები და ვიტრაჟები.
მოლა კი ყივის სისხლდარღვებში და ბნელ ღამეში
ხელისცეცებით დაეძებენ ფოლიანტებს თეთრი ბერები.
მწვანე თვალები აშინებენ დიდ ინკვიზიტორს -
ცეცხლი გიზივიზებს...
მოხრილი ხმლების, ნახევარმთვარის და დროშის გულში
ტირიან ბლები...
და როგორ ვეძებ ციხე-კოშკის რბილი სიგრილის,
რახათ-ლუხუმის, თეთრი სტეპის და სინანულის,
ოქროს სანმისის, დაკარგულის, ველარნაპოვნის,
ცხელი ჰით დოგის, არაქისის კარგი კარაქის,
სვინგის, სოულის, დავინწყების, სიგიჟის მიღმა,
როგორ დავეძებ კუთვნილ სახეს, სილუეტებს,
საკუთარ მიწას, მელოდიას და მხოლოდ ჩემს სულს.

გიორგი ბუნიოვანი ეუმიტი ჩემი პერფორმანსია

(ვუძღვნი-კობა ჭუმბურიძეს!)

ამ ლუქსის სათაური ექსპრომტად მომაწოდა კობაზ, აღუკო ჩაჩანიძის
ნივნის პრეზენტაციაზე, "დეუავიუში" და მთხოვა--დამენერა მისთვის
ლუქსი, რაც ხიამოვნებით აღვასრულება!

ჩემი მდუმარება შენთვის მომიძღვნია
სადაც სიმეჩერე თმებში გიჩონჩხდება...
ფერნი ავგაროზთა წვიმად მომიხმია
თვალთა ჰავერდები ბლანტად მიოსდება!

გინვდი ამ კიდურებს, დარად გადარჩენის
ჩემი პერფორმანსი - ჩემი დუმილია!
და შენი ბრგე მხრები, ღვთიურ განაჩენის
უზადო სამართლის ნოტთა ყურმილია!

წინ როს აღუდგები ყველა ჟამთა მარშებს,
მეც ამიყოლიე, შენთან ვარ კვლავ ერთი...
ლექსთა ჯადოქარო, სიტყვა ათამაშე,
როგორც უსასრულო ათვლა ვარსკვლავეთის...

და როცა სოფელი უმალ მოგვიყირჭებს,
სეტყვად აღვლენილი - ლავად დავინწყები!
ჩვენი პერფორმანსი - ჩვენი დუმილია -
მიღმა ეონების, მიღმა დავინწყების!..



დავით შემოქმედები

წრე

ვზივართ მე და ჩემი ბიჭი
მდინარიდან დაბრუნებულნი
გადაჭრილ მორზე,
სოფლის სასაფლაოს გვერდით,
მყუდროებას მხოლოდ
კუტკალიების ხმა არღვევს.
ვზივართ ასე ერთმანეთის
პირისპირ...
მარადისობაში წამით დასიზმრებულები,
ერთი საწყისის
ორი საპირისპირო პოლუსი.
მე სიკვდილისკენ ვიხრები,
ის — სიცოცხლისკენ.
აქედან ასიოდე მეტრში
მამაჩემის საფლავია.

წუხელ მესიზმრა —
ჩემი ბიჭის ლიმილი ჰქონდა...



უობა ჭუმბურიძე

მოგიგზავნი ნიავე

ენდელებით მიწა აიწენა,
ნამგალებს კი დაუკანრავთ ზეცა,
ტყე შექუჩუჩუბულა,
რუ არუკრუკებულა
და რტოებში გაზაფხული ჩქეფს.
ეს ყოველი განა სიზმარს არ ჰგავს,
სიყვარულის ფუნჯით მონაქარგავს,
მე ისევ გელოდები,
ისევ მეიმედები,
ან კი შენ თავს რა დამავიწყებს.
მოდი თორემ მოგიგზავნი ნიავს,
შენი რისხვის რომ არ ეშინა,
მას ვერ გაებუტები,
მოვა, ჩაგხეუტება,
გაკოცებს და გაგიჩეჩავს თმებს.



რაუდ ჩიტაჩავა ქართული თოვი

თოვლში ერთბაშად გაბრწყინდა ლავრა,
როგორც ვარსკვლავი ბეთლემის თავზე.
თოვს და ეს თოვა სინათლით მავსებს,
როგორც პეტრარკას სონეტს ლაურა.
მაგრამ მე მახსოვს სხვაგვარი თოვაც,
თოვა ზემელზე, თოვა ვერაზე,
თოვა, როდესაც ღამის ვარაზი
ცამ ვარსკვლავებით მოაუთოვა.
მე მივდიოდი თბილისურ თოვლში,
როგორც სამშობლოს უცნობი მეკვლე
და ვგრძნობდი: ყინვის სუსხიან ეკლებს
ჩემს საამებლად თელავდა თოში.
მე მივუნათებ იმ ღამეს კვარს კვლავ
სულ ერთი წამით, სულ ერთი წამით,
რომ ვთქვა: “ნეტარი გასრულდა ჟამი!..”
და გავაგრძელო გზა ვარსკვლავ-ვარსკვლავ!

წუთისოფლის სამდურავი

თუ ქარიშხალს წესადა აქვს მარად მტრობდეს კაცთა სამყოფს,
რატომ ერჩის ასე ხშირად ჯერ უმწიფარს ნეტავ ნაყოფს?!

ნეტავ ამას რა სახელი ერქვას უნდა ან რა წესი?!
ნეტავ მისმა შემოქმედმა სხვა ვერ შექმნა უკეთესი?!

ან რად არის ეს სიცოცხლე სიკვდილისგან სამართავი,
ან რას მართავს და რას ხლართავს მთელი მისი სამართალი?!

ყველა პასუხს ამაო და იდუმალი ფარავს ფარდა,
და არ რჩება არაფერი, ეჭვისა და ფიქრის გარდა.

ყველა კარი დახშულია და იღება მაშინ მხოლოდ,
სიცოცხლეს რომ დავასრულებთ, თუნდ გაწელილს უთავბოლოდ (005)

და იქ, სადაც ყრმას თუ მოხუცს ერთად უწევთ გადამალვა,
სადაც ალარც ტკივილია, ალარც წვა და ალარც ალვა,

იქ სიკვდილის ერთი წამი თითქოს რაშად, თითქოს ჰუნედ
იქცევა და მოაგელვებს დროს უდროო საუკუნედ.

სულ ეს არის ამ საწუთოს მთელი ზნე და არსი მთელი,
უსამართლოდ მოგექცევა, თუ სამართალს მისგან ელი,


ბებერსა თუ ახალგაზრდას განურჩევლად წარჟკვეთს სასოს,
რაგინდ გული უძერდეს და სულით თავი გაიხასოს.... (010)

და შენც სხივი ნუგეშისა საამქეცებიდ უნდა ნახო,
მდუმარების ტყვეობაში შენს გონებას უკარნახო,

რომ მინისქვეშ სანამ ჩახვალ, განერიდო ავს და გრძნეულს
და მისდიო ცისქვეშეთის განჩინებას სიბრძნისეულს:

უფლის ნებით ყოველი დღე გითენდება იმის გამო,
რომ სიკეთე დათესო და სიკეთითვე დაიღამო.

ან გიამპობთ ზურაბის და მისი მამის ბედეკრულ ამბავს,
რაინდული სისხლისღვრის წილ სისხლიანი ცრემლით ნაბანს....



ცაცია

ნინო გუგეშაშვილი



ნინო გუგეშაშვილი

პირველ კლასში ჯერ „ძუა“-ს ნაცვლად
„ხუა“ დაწერა.

მასწავლებელმა წითლად გაუხაზა, მან კი
მორჩილად ბევრი „ხუა“ გააყოლა ერთ ხაზზე.

მერე წამოვიდა „თოძი“, „შერო“, „იყო წან-
ვი მგალობელი“...

კარგი ბავშვი იყო. ზღაპრებიდან უყვარდა
„შიქარა“, „წაძევარქათამა“, „შითელქუდა“,
მულტფილმებიდან „შუნა და შრუშუნა“.

ვაჟა უყვარდა – „არშივი“, „ძმელი შიფე-
ლი“. ფერებიდან წავი, შითელი, მშვანე. სიმ-
ღერებიდან – „შინშეარო“. გაარეკინა ქართუ-
ლის მასწავლებელს:

- გამაგებინეთ, ძელმშიფემ უკვდავების შე-
ლით ჭრილობები მოიწუნა თუ მოიშუშა?! - ყვი-

როდა, - მომაშორეთ ეს „შურბელა“!

ბავშვი კი უწყინარად წერდა:

“ქორმა შიშილა შაილო,

იხაძდა “შიავ-შიავსა”...

კარგი ქართველი დადგა: უყვარს სამწობ-
ლო, მშვადი წამფურზე, ძინკალი, ქინხმარი,
მშვანილი - შიშმატი, ძაძვი, ოძრაძუნი.

გიუდება წვილებზე, წვილიწვილებზე, ბიხ-
აწვილებზე.

... მუშაობს ახლა უწინროებანი, ინფორმა-
ციას არ იხლევა.

ბაძვა ჰქვია, ძმალახეა გვარად....

ნაძვამდის!

მოსაზრება სოციალურ ქსეი “facebook” - გ

2011 წლის 09 05, ორშაბათი, 1:11.

ავტორი - აღექსანტი ვილიაშვილი

“11 მაისს ებლიტფოს მორიგ ღონისძიებაზე ეროვნულ პიბლიოთეკაში დაგეგმილია მორიგი თავშეყრა და საუბარი რუსთველის შესახებ... იქ შეიძლება ვერ ვთქვა ან თქმით ისე საინტერესო არ იყოს ის, რასაც ახლა შემოგთავაზებთ.

იმ თავში, სადაც მოთხოვილია ამპავი ავთანდილის ფრიდონთა წასვლის შესახებ, გადამწერთა მიერ ჩამატებულია ორი სტროფი (თუმცა კი ლამაზი და ყველასთვის საყვარელი);

976

რა ესმოდის მლერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტყბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან, ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან; იმდერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

977

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლი სულიერნი: კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი, ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

1) რუსთველი ასეთი რითმას არასოდეს ქმნის: სულიერნი - მფრინველნი, მას ნამდვილად არ გაუჭირდებოდა რითმად 4 "ელნი" მოეძებნა და ეს აშკარად შეუსაბამო სული-ერნი არ ჩაესვა.

2) ორივე სტროფი პრაქტიკულად ერთი და იგივე აზრს გადმოსცემს, და. შესაძლოა. ორი სხვადასხვა გადამწერის ჩამატებულია.

3) "ზღვით ნიანგნი" - ეს არის სპარსული "ნეპანგ", რაც სპარსულად "ზვიგენს" ნიშნავს და რომელიც რუსთველის ეპოქაში ჯერ "ნიანგ"-ად (ალიგატორად) არ იყო გადაკეთებული. მას, რასაც ახლა ჩვენ "ნიანგ"-ს ვეძახით, მაშინ ერქვა "ზვითქი" (კროკოდილი)

4) ნებისმიერ ადგილას იმ რეგიონში, და მით უმეტეს ფრიდონის ქვეყანასთან, ავთანდილის სიმღერის შესამკობლად რუსი, ფრანგი და ბერძენი ახლოს ვერანაირად ვერ მივიდოდა; რა თქმა უნდა, ეს პოეტური ჰიპერბოლაა, მაგრამ არა რუსთველისა... ეს "მოფრანგენი" ხომ საერთოდ ვერ ენერება რუსთველის ეპოქაში... მე-12 საუკუნეში ახლანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა (გალებმა) თავადაც არ იცოდნენ, რომ მომავალში მათ ეს სახელი "ფრანგი" დაერქმეოდათ.

5) 975-ე სტროფი მთავრდება დიდებული შედარებით, რაც კრავს მთელ ეპიზოდს და ამას აღარანაირი გაგრძელება აღარ სჭირდება:

"მომლერის ხმასა ტყბილსა, არ გასწყვედდის ცრემლთა რუსა,

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდა ბუსა."

....ამის შემდეგ მოდის ზემოთხსენებული ორი სტროფი, რაც სრულიად ზედმეტად ჩანს.

წერილი 1 სულიერი მწერები

აღენო ჩაჩანიძე



“დილით შორიდან თეთრ ქვაზე ამოკვეთილი ჩანდა. ამასაც უშოვეს წამალი. ოქროს-ფერი ლაქით შეღებეს ამოჭრილი ანბანი და საქმეც გაიჩარხა, მიდიოდი თუ მოდიოდი, ღრუბლიანი იყო თუ მზიანი, ადვილად შეგეძლო გაგერჩია კაცს ერთი სიტყვა.

დიახ! მხოლოდ ერთადერთი სიტყვა: «სერაფიონი»

ასე მთავრდება შენი შექმნილი ისტორია ერთი მშრომელი და მოსიტყვარულე ადამიანისა, რომელსაც უზარმაზარი სიყვარულისა და სიკეთის სანაცვლოდ, მადლიერმა სამეზობლო – საახლობლომ, საფლავი მოუწყო და იმის ნიშნად, რომ მუდამ ემახსოვრებათ მისი კეთილი საქმე და სახელი, ეპიტაფიად „სერაფიონი“ ამოუტვიფრეს ოქროს ასოებით. შენი – მეთქი, მომიტევე კადნიერება, მაგრამ იმდენად ძვირფასი და მშობლიური ხარ ჩემთვის, თქვენობით მომართვა ყალბიც იქნებოდა და ფუჭიც.

ბოვშის შემრჩაო გულიც, სულიც და გულუბრყვილობაც, ოთხ-

ნერიცი თუია იოხეციანს

(თამარ ბაზლაძის პროექტი)

მოცდა ერთი წლის კაცსო ბავშვივით წრფელი და სუფთა იყო სინანული „გული მწყდება აქოურობაზე ვითომ ბევრი გავაკეთე, მარა ორი იმდენი დარჩა გასაკეთებელი და დასანერიო“ ორიც დარჩა და ორჯერ ორასიც, მაგრამ მუხანთია წუთისოფელი რამდენჯერაც დავაპირე ჩამოსვლა და მონახულება, იმდენჯერ რაღაც გამოტყვრა და ხელი შემიშალა, სახვალიოდ გადავდე ხოლმე, მეგონა სიკვდილი მხოლოდ უბრალო მოკვდავთა ხვედრია, ბუბერაზს კი ვერაფერს დაგაკლებდა. საოცარია, საგულდაგულოდ ვემზადებოდი, ვაჟა ფშაველასა და ქაქუცა ჩილოყაშვილის დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა მეგობრებს იმ დღეს. გარდა აიც ვალა როგორც ჭირისუფალს, ტკივილით სავსე ხმით შემომაპარეს ამბავი. შენი სიტყვებია „სამოთხეში არც პური ჭირს, არც წყალი და არც სიყვარულის დეფიციტიან“ ალბათ ამ სიტყვარულმა მიგიყვანა გოლიათი ორი თანამოძმის იუბილეზე და თუ პური და წყალი საძებნიარაა იმ ქვეყნად, ღვინოც გამოულევად გექნებოდათ ქართველებს და დარწმუნებული ვარ სადღეგრძელოსაც კარგს იტყოდით იმ მიწისას, რომელიც ასე ძალიან გიყვართ სამივეს. ვაგლას,

რომ ისევ იმ ტკივილით გაგისტუმრეთ იმ ქვეყნად, რაც აგრერიგად აწუხებდათ ვაჟასაც და ქაქუცასაც, აკი თქვი კიდეც „გული მწყდება, რომ ვკვდები და წალმა მოტრიალებულ საქართველოს ვერ მოვესნარი – ისევ ამერიკელის და რუსის ხელის და ნების შემყურები ვართო“. „თავს სინანული სჯობია, ბოლო უამს დანანებასა“ – არც თავში ვინანეთ და არც ბოლოსკენ უჩანს სინანულის პირი იმას, რომ ოქროს

ფასად ლირებული სიტყვა და გამოცდილება, შენიცა და სხვისაც ისე ჩარეცხეს და მიაჩუმათეს, ერთიც არ დაუკვნესია არავის, მაგრამ არ იციან უმეცრებმა, რომ მთელ მათ სიბეჯითეს საფლავის ქვაზე ეპიტაფიად დატანილი ერთადერთი სიტყვა გადასწონის. დიახ! მხოლოდ ერთადერთი სიტყვა „ოტია“.





თამაზ ექვთიმიშვილი

ერთი შაბათის საღამოა, ივნის... მთელი დღე აბდა-უბდა, უსაქმური აზრებისგან ტვინი მაქვა ადუღებული.

ოდნავ აგრილდა თუ არა, ცოტას გავისეირნებ მეთქი, წვერი გავიპარსე, თეთრი, ახალი პერანგი ჩავიცვი და სახლიდან გამოვედი.

გამოვედი. მივდივარ. მე კი ვარ ჩაცმულ-გაპარსული, მაგრამ გვერდით ისევ აჩარულ-დაჩარული, პირდაუბანელი ფიქრი მომყვება.

ხიდამდე ისე მივედი, თითქოს ერთი ოთახიდან მეორეში გავსულიყავი.

რას იზამ?! წლები გავიდა... ჭადრები დიდი ხანია გაქრნენ ქუჩებიდან. ხებს შენობები მიჰყვნენ. ახლა მხოლოდ გამვლელები არიან, რომელთაც არ უნდა დაეჯახო და ქალები, რომელთაც ჯერ კიდევ შეგიძლება დაეჯახო. მერე და მერე ალბათ ესენიც გაქრებიან. დარჩება მხოლოდ ტროტუარზე დაგებული ფილაქანი, რომელსაც ყურადღებით უნდა აკვირდებოდე, რომ ცუდად ჩასმულს ფეხი არ წამოჰკრადა ცხვირი არ გაიტეხო. ჰო! შუქნიშებიც.

ხიდის თავთან შევჩერდი. ვერ გადამეწყვიტა- გადავსულიყავი და შემოვლით დავბრუნებულიყავი, თუ ხელი ჩამექნია და ტაქსი გამეჩერებინა.

უცებ! ამ დროს! ჰოი, საკვირველებავ, ვიღაცამ უკნიდან თვალებზე ხელი ამაფარა.

გული კალიასავით შეხდა. თითებით მოვსინჯე-ქალი არ იყო.

- რომელი ხარ?- ვეკითხები.

ვიღაც სიცილის მოგუდვას ცდილობდა და არაფერი გამოსდიოდა.

- ვერც სიცილზე გცნობ, - მეთქი.

თავისკენ მიმატრიალა.

- ვანო...! ბიჭი!.. საიდან- გახარებული ავბლუყუნდი.

ნახევრად გამელოტებულს, ფუნთუშა სახე გაბადროდა და ისე ხითხითებდა, თითქოს ანეკდოტი მოეყოლა ვინმეს.

- ვითომ რატომ საიდან?! შენ თვითონ საიდან?!

- რა ვიცი, ვსეირნობ- მეთქი.

- რაღაც, რომ არ გავხარ შენ მოსეირნეს?..

- არა, ჰო?!..

- ისე დაბლვერილი მოდიოდი, ვიფიქრე, ერთხელ ვილოსიპედი რომ არ ვათხოვე, ახლა გამიხსენა და რაღა მეშველება, მეთქი.

უფრო გულიანად გაიცინა.

- შენ არ ბერდები, ხო იცი...

- რატომ უნდა დავბერდე?! არ გაგიგია, სანამ დედა მყავს არ დავბერდებიო?..

- კი?!

- ჰოდა, მე ასე გადავაკეთე, სანამ...- ტუჩები ყურთან მომიტანა და ისეთი რამ ჩამორჩურჩულა, ქუჩაში ყვირილ-ხარხარით სათქმელი წალდად არ იყო.

ჩემი და მისი "ჰა", "ჰა", "ჰა..." ერთმანეთში აირია. ამ დროს ტაქსმა ჩამოიარა, ვანომ ხელი აუწია, "ეჰ, რომ არ მეჩქარებოდეს, სადმე ჩავჯდებოდითო." თვალი ჩამიკრა და ტაქსში ჩაჯდა.

მზერა გავაყოლე. მოსახვევამდე ხელი ჰქონდა გადმოყოფილი და მიქნევდა.

ნავიდა. ჩემს ფიქრებს სავარცხელი გადაუსვა და წავიდა.

ხიდი გადავიარე- დავიწყე ბოლოსდაბოლოს "სეირნობა"!

მივდივარ, სიგარეტს ვეწევი, თან გემვლელებს ვათვალიერებ, იქნებ წაცნობი ვნახო, ერთი ასეთი "სეანსი" ჩავუტარო...

ჩემს წინ ვიღაც, შარვალ კოსტუმში გამოწყობილი კაცი მიდის, თავჩაღუნული.

ვიფიქრე, რა მნიშნელობა აქვს, წაცნობი იქნება თუ უცნობი, მეთქი.

დავენიე, მივეპარე და თვალე-

ატაში

(მინი- წოველა)

თამაზ ექვთიმიშვილი

ბზე ხელი ავაფარე.

თითები მომითათუნა.

- ლაშა, შენა ხარ?- მეკითხება.

- არა! ლაშა არ ვარ!

კარგი, სრული პასუხი გავეცი.

- აპა?!- ხელები მოიშორა და

მოტრიალდა.

გაოცება არ დავაცალე:

- არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო?!

- ააა... შენა ხარ?! .. რავა ხარ?

- ენა დაება.

- ვარ, ნელ-ნელა. შენ რას შვები? მოწყენილი მეჩვენები... ჰა! ბიჭო, ხომ არ დამიბერდი?

- რა ვიცი, აპა? - ხელები გადაატრიალ- გადმოატრიალა.

- რა, რა იცი, ბიჭო?! აიგინდან ბავშვებს კენჭებს ხომ არ ესვრი ხოლმე?

- არა,- გაეღიმა,- ჯერ არა!- დაამატა სიცილით.

- აპა, ესე იგი არა გიშავს!

ტაქსმა გამოიარა. ხელი აუწიე.

- აფსუს, მეჩქარება, თორემ ტიქა არ გვაწყენდა- მეთქი.

"სხვა დროს იყოს".

- საით?- მეკითხება მძღოლი.

- აი, ასე, ზევით აუხვიე და

პირდაპირ წადი,- მარშრუტი თითოთ ვაჩვენე.

აუხვია თუ არა, მანქანა გავაჩერებინე,- სახლში რაღაც დამრჩა- მეთქი. ტორპედოზე ლარიანი და- ვუდე და გადმოვედი.

ტაქსი წავიდა თავის გზაზე. მეუცნობს გავხედე. ტროტუარის პირას იდგა და მანქანებს ხელს უქნევდა. ეტყობა რაღაც აზრი მოუვიდა თავში.

საინტერესოა ჩემზე რას ფიქრობდა.

ალბათ: "ჰე, ჰე!.. შევეშალე ვიღაცაშიო!"

მაგრამ მე ისეთი "პაროლი" მქონდა ნათქვამი, შეიძლება რცხვენოდა:

"როგორ ვერ ვიცანი, კაცო, როგორ ვერ ვიცანი!"

1996 წ





ნათია ორმოვაძე

(ბილინგვა)



ნათია ორმოვაძე

РОМАНС МОРСКИХ ОФИЦЕРОВ

Ты меня на рассвете разбудишь,
Проводить не обутая выйдешь,
Ты меня никогда не забудешь,
Ты меня никогда не увишишь.

Заслонивши тебя от простуды,
Я подумаю: Боже Всевышний!
Я тебя никогда не забуду,
И уже никогда не увижу.

Не мигают, слезятся от ветра
Безнадежные карие вишни.
Возвращаться плохая примета.
Я тебя никогда не увижу.

И качнутся бессмысленной высью
Пара фраз залетевших отсюда:
Я тебя никогда не увижу,
Я тебя никогда не забуду...

საზღვაო ოფიცერის რომანსი


გამომაღვიძებ ცისკრისას ფრთხილად,
გასაცილებლად ფეხშველა იწევ,
უკვე ვერასდროს ვეღარ მიხილავ,
მაინც ვერაფრით ვერ დამივიწყებ.

არ მოგაკარებ ურულას, ციებას,
გულში ვადიდებ უფალ-ღმერთს მაღალს.
ვერასდროს შევძლებ შენს დავიწყებას,
თუმცა ვერასდროს უკვე ვერ გნახავ.

ქარში ციმციმებს უსასოო და
მუქ ალუბლებზე ცრემლების წყება.
უკან მოხედვა დავცადე ცუდად.
უკვე ვერ შევძლებ შენს დავიწყებას.

და მოწყვეტილი ეს ორი ფრაზა
დალლილა ცაში უმიზნო რწევით:
ვეღარასოდეს თუმცა ვერ გნახავ,
აღარასოდეს დამავიწყდები.

პინისწურა



გია არგანაშვილი

მამაშვილი

შვილი საოცრად ჰგავდა მამას.

— ძალიანა მგავს — უხაროდა მამას — ჩემი ზუსტი ასლია, ბავშვობაში მეც ასეთი ვიყავი, გარეგნობაც ჩემი აქვს, ხასიათიც, ჩემნაირად დადის, ჩემნაირად იცინის, ენასაც ჩემსავით უკიდებს ლაპარაკის დროს...

— გაიზრდება და ჩემხელა გახდება, ჩემი ზომის ტანსაცმელს ჩაიცვამს, ქუდსაც ჩემსავით დაიხურავს წვიმიან ამინდში, თმებს მოკლედ შეიკრეჭს და მარჯვნიდან მარცხნივ გადაივარცხნის...

— სკოლაში თანაკლასელი გოგო შეუყვარდება და ჩემსავით დროულად დაოჯახდება — ოცნებობდა მამა — ლამაზი ცოლი ეყოლება, წლისთავზე ბიჭი შეეძინება და ისიც მამას დაემსგავსება.

— კარგ სამსახურს იშოვის, ოცდათი წლი-

სა რომ გახდება ხარისხსაც დაიცავს, სამეცნიერო სტატიებს გამოაქვეყნებს ინგლისურ უურნალში და კარგი მეცნიერის ავტორიტეტს მოიხვეჭს.

— სმით ცოტას დალევს. სიგარეტს მხოლოდ ხანდახან გაუსინჯავს გემოს. წამალს ახლოსაც არ გაეკარება.

— სპორტით იქნება გატაცებული, ფეხბურთში სერიოზული წარმატება ექნება, მაგრამ მალე დაანებებს თავს, თავისუფალ დროს მთაში ივლის და ალპინისტთა ჯგუფში მოხვდება, თუმცა მყინვარზე ასვლაში მუხლის ტრამვა შეუშლის ხელს.

ამაზე კი ძალიან დაწყდება გული, მაგრამ მალე გაუვლის.

— მთაში კიდევ ერთ ფათერაკს გადაეყრება, — გაახსენდა მამას, — მაგრამ იმასაც იოლად დააღწევს თავს, მეგობარი უშველის.

— ჲო, მეგობრებშიც გაუმართლებს, ერთის გარდა... იმ ერთს უნდა მოერიდოს, უსიამოვნების გარდა არაფერს მოუტანს.

— უსიამოვნებები სხვაც ბევრი შეემთხვევა, — შენუხდა მამა — ჯანმრთელობის პრობლემებიც ექნება, ნაღვლის ბუშტი შეაწუხებს ხანდახან, რამდენჯერმე აშკარა ხიფათს გადაურჩება.

— ბავშვობაში თუთის ხეზე გავა და ჩამოვარდება...

მამა ფიქრებიდან გამოერკვა და სასწრაფოდ ბალში გავიდა.

იქ, თუთის ხის ძირას, მისი შვილი იდგა და

ზედ ასვლას ცდილობდა.

მამამ შვილი სხვა ხეზე შესვა.

ბალში უამრავი ხე იდგა.



გია არგანაშვილი



თამრი ფხავაძე

დიდი, დიდი ხნის წინათ, დედამიწაზე ერთი პატარა დინოზავრი ცხოვრობდა. სახელად დიზი ერქვა.

დიდი დინოზავრები საჭმელს რომ ეძებდნენ, დიზი ლამაზ-ლამაზ ყვავილებს ათვალიერებდა ხოლმე. რამდენჯერმე, ჯოგს ჩამორჩა კიდეც. ჰოდა, ერთხელაც გზა აებნა უზარმაზარ მინდორში და დაიკარგა.

მარჯვნივ წავიდა, მინდორი იყო.

მარცხნივ წავიდა, მინდორი იყო.

წინ წავიდა, მინდორი იყო.

უკან დაბრუნდა და, იქაც მინდორი იყო!

რაღა ექნა დიზის? იფიქრა, იფიქრა და დასახლდა იმ შუაგულ მინდორზე.

ჯერ — სახლი აიშენა. მერე — ეზო შემორაგა. მერე ყანა დათესა. მერე ჭა ამოთხარა. მერე ნაკადულზე წისქვილი დადგა. მერე თონე გააწყო. მერე კოშკი ააშენა. მერე კოშკის წვერზე დიდი კოცონი დაანთო, ვარსკვლავიან ცას ახედა და ინატრა:

— ეჲ, ნეტავ მეგობარი პატარა დინოზავრი მომცა! ძალიან მოწყენილი ვარ ასე მარტო!

სწორედ ამ დროს ციდან წატვრა-ოცნების ვარსკვლავი მოწყდა.

დატრიალდა ქარბორბალა,

პატარი გინოზავრები

ებზი გა დუზი

აბრჭყვიალდა ვარსკვლავის სხივები და გინდ დაიჯერე, გინდ არა, — მეორე პატარა დინოზავრი დაეშვა მიწაზე.

— ესეც მეგობარიი!! — შესახა გახარებულმა დიზიმ და სასწრაფოდ დაეშვა კოშკის კიბით დაბლა — შენ ალბათ, დუზი გქვია?

— ჯერ არაფერიც არ მქვია, — თქვა ციდან ჩამოვარდნილმა პატარა დინოზავრმა — მაგრამ ეგ სახელი მომწონს. დუზი მერქვას!

რომ იცოდე, რა მშვენივრად დამეგობრდნენ!

დილით ნაკადულში საჭყუმპალოდ მიდიოდნენ, მერე ყანას თოხნიდნენ, მერე ჭიდან წყალს იღებდნენ, მერე ხორბალს ფქვავდნენ და პურებს აცხობდნენ, მინდორში ყვავილებს კრეფდნენ და სახლის სახურავს ფერად ფერადად ღებავდნენ.

არასდროს ჩხუბობდნენ და

რიეს. ისეთი საშინელი ღრიალი ატეხეს, დედამიწას ზანზარი გაუდიოდა. მტვერი ბუღად ადიოდა და არაფერი ჩანდა. ომი რომ დამთავრდა, აღარცერთი დიდი დინოზავრი აღარ იყო ცოცხალი. სულ გადახოცეს ერთმანეთი. აი რა სისულელე ჩაიდინეს!

ჩვენი პატარა დინოზავრები, დიზი და დუზი კი შუაგულ მინდორში მყუდროდ ცხოვრობდნენ და არაფერი გაუგიათ.

ყოველ დილით ნაკადულში ჭყუმპალობდნენ, ყანას თოხნიდნენ, ჭიდან წყალი მოჰქონდათ, ხორბალს ფქვავდნენ და პურებს აცხობდნენ, მინდორში ყვავილებს კრეფდნენ და სახლის სახურავს ფერად ფერადად ღებავდნენ.

არასდროს ჩხუბობდნენ და



მინდორში. სულ ბოლოს — სახლის სახურავს ლებავდნენ. დღეს რომ წითლად შეღებავდნენ, ხვალ — ყვითლად, ზეგ — მწვანედ, მაზეგ ლურჯად და ასე... ერთმანეთს არასდროს ეჩხუბებოდნენ. პირიქით, სულ ერთმანეთზე ზრუნავდნენ.

— მეგობარო, მზემ ძალიან არ დაგაცხუნოს... — ეტყოდა დიზი.

— მეგობარო, ხომ არ მოგშივდა? — ეტყოდა დუზი.

— მეგობარო, ეს ლამაზი ყვავილი შენი იყოს, — იტყოდა დიზი.

— ეს ნახატი შენ დაგიხატე, მეგობარო, - იტყოდა დუზი.

ამასობაში, ქვეყანაზე დიდი დინოზავრების დიდი ომი დაიწყო. დაერიენ ერთმანეთს დიდი დინოზავრები და სულ კუდებით ით-

ერთმანეთზე ზრუნავდნენ.

არც ომი დაუწყიათ და არც ერთმანეთი დაუხოციათ.

ახლაც მხიარულად და მეგობრულად ცხოვრობენ.

ზუსტად არ ვიცი, რომელ მინდორზე სახლობენ, მაგრამ მგონი, ჯერ მარჯვნივ უნდა წახვიდე, მერე კი მარცხნივ...

რა იცი, იქნებ ნახო კიდეც?

სახელები არ დაგავინყდეს! ერთს დიზი ჰქვია, მეორეს — დუზი.

წოების

გივი
ჩილვინაძე

სხივი და კესანე

წვიმიან ღრუბელს ვეფარე
მძიმეს და წვიმისფერსავე,
ავდექი, გამოვეპარე,
შენთან მოვედი, კესანე.


მე მზის სხივი ვარ, სხივები
ყველგან სიკეთეს თესავენ,
ცაზე გავაბი სიმები,
შენ რაღას შვრები, კესანე?

ენძელა — ის დაიკო,
მეფერა, მეალერსა მე,
შენ კი რა მოგდის, რა იყო,
რატომლა არ მომესალმე?

ნუ დარდობ, ღრუბლების ფარას
ცაზე ქარები მწყემსავენ,
ქარისგან მე დაგიფარავ,
ნუ გესინია, კესანე.

ჩემი ძმობილი სხივები
შორს ცისარტყელას კემსავენ,
გაქრება წვიმის მძივები,
მათაც სხივები შესვამენ.

გამოიდარებს სულ მალე,
ხვალე კი არა, დღესავე,
შენც ნულარა ხარ მდუმარე,
ჩემო ლურჯოვალა კესანე.



გივი ჩილვინაძე